# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №227 /Ე

ქ. თბილისი

„5“ „დეკემბერი“ 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორე მხრივ, შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი“, მისი გენერალური დირექტორის დავით ქოჩიაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის დიზელ-გენერატორის ძრავის ზეთის შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 09200000) და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს „შემსყიდველს" ზემოაღნიშნული საქონელი 1313.20 (ერთი ათას სამას ცამეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1.

| საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთ. ფასი | მთლიანი ფასი |
|---|---|---|---|
| ძრავის ზეთი MEGUIN 15W40 | 140 ლიტრი | 9.38 ლარი | 1313.20 ლარი |
| | | | სულ: 1313.20 ლარი |

4. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1-ით) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, საქონლის მოწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი №1) და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. „შემსყიდველმა„ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სამინისტროს ადმინისტრაციულის დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი გურამ გიორგობიანი და ამავე სამმართველოს დამხმარე მოსამსახურე ვახტანგ ფხალაძე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

16. დასკვნითი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
თბილისი, წერეთლის გამზ. №144
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო
სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957

ვალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი"

შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი"
ქ.თბილისი, მოსკოვის პრ. №35ა.
საქართველოს ბანკი,
კოდი BAGAGE22
ანგ. №GE89BG0000000298044900
ს/კ №205029351

დავით ქოჩიაშვილი
გენერალური დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

გ. გიორგობიანი

მ. თავთეთრიშვილი

ი. გვასალია

ვ. ფხალაძე

შემსრულებელი: ბ. შუშიაშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესყიდული საქონლის
მიღება – ჩაბარების

# ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ----------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი ----------
(ორგანიზაციის დასახელება)

---
(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------

---

2016 წლის „ ------“ „ ---------- “ № ------ ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა ----------
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება ანაზღაურებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

| მიიღო | ჩააბარა |
|---|---|
| 1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი | 1. ხელმძღვანელი |
| 2. პასუხისმგებელი შემსრულებელი | 2. მთავარი ბუღალტერი |
| ბ. ა. | ბ. ა. |

# ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „5" „დეკემბერი" 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი"-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

გ. გიორგობიანი

ვ. ფხალაძე

ბ. შუშიაშვილი